ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2727817

ნომერი: AR1380677

თარიღი : 23.02.2016

გაცემის თარიღი : 22.07.2016

გაცნობის თარიღი : 22.07.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნინო ჩხეიძე , N 43 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N 45 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N 43 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N37-სა და N43-ს შორის , (ნაკვეთი N62/12) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N37-სა და N43-ს შორის , (ნაკვეთი N62/11) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩხეიძე , N 43 , მიმდებარედ ნაკვეთი 62/014/ ქალაქი თბილისი , ნ. ჩხეიძის ქუჩა N37-სა და N43-ს შორის;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი შენგელია პ/ნ 01024074383
- საქართველო, ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძეს ქუჩა, N 27, ბინა 27

ორგანიზაცია:

- ინოვაციური სამშენებლო-საინჟინრო კომპანია კოდი: 405026458

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- შეთანხმებული პროექტის ცვლილება
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 2379833

- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 11.01.2016

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ილია ჩხიკვიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: ინოვაციური სამშენებლო-საინჟინრო კომპანია
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405026458

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს ,,ეფდ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 406136612
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი ბეროშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01011004191

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 1729.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 1534.3
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 8371.1
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 3689.4
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 500.5
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 797.8
- .დამხმარე ფართობი (კვ.მ).: 2292.2
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 1091.2
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 29030.5
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 16626.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 12404.5
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 33.01
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 22.91
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 10.1
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 910.6 კვ.მ კ1 - 0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 4894.9 კვ.მ კ2 - 2.8
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 173.8 კვ.მ კ2 - 0,1

.შეთანხმებული პროექტის რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: №486673
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 31.12.2012

.არსებობის შემთხვევაში მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : №486673; № 1811109
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 24.12.2012

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურში შემოსული მოქ. მოქ. გიორგი სულაძის და პავლე სულაძის საჩივრების მიხედვით ქ. თბილისში ნ. ჩხეიძის ქ. N37-სა და N43-ს შორის, (ნაკვეთი N62/12)-ში ნაწარმოებმა მშენებლობამ დააზიანა მის მოსაზღვრედ ქ.

თბილისი, ნ. ჩხეიძის ქ. N37-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. აღნიშნულ მოსაზრებას ადასტურებს 21.07.2014 წლის ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს N 5003247114 დასკვნა. რომლის მიხედვით: "მწვავე ავარიულ მდგომარეობაში მყოფი საცხოვრებელი სახლის მნიშვნელოვანი ნაწილის ჩამონგრევა მოხდა იმის გამო, რომ წლების მანძილზე შენობის ზღვრული არამდგრადი მდგომარეობა დაირღვა მომიჯნავე ნაკვეთზე ქვაბულის ამოღებისას" ასევე "შენობა არ ექვემდებარება აღდგენა-გაძლიერებას და დემონტირებული უნდა იქნას"

ზემოდხსენებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დემონტაჟის მიზანშეწონილობის საკითხზე, პოზიცია დააფიქსირა სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ. რომლის მიხედვით, მათ არამართებულად მიაჩნიათ ძეგლის დემონტაჟი. საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" ძეგლის დემონტაჟს არ ითვალისწინებს, ხოლო 26-ე მუხლის შესაბამისად დასაშვებია ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა, მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქცია) ფარგლებში მისი აღდგენის პირობით. (დანართი - 06.06.2016 წ. N 07-13/451; 11.07.2016 წ. N 13-15/1404),

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N7, 19.02.2016წ) რეკომენდაცია გაუწია საპროექტო ობიექტის მომიჯნავედ მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობის გამაგრების პროექტის მომზადებას.

თქვენს მიერ წარმოდგენილი ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნის 30-ე პუნქტის გათვალისწინებით: "მშენებარე ნაგებობა ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს მიმდებარე ნაგებობების მდგრადობაზე. მისი ზეგავლენით მიმდებარე ნაგებობებზე არ შეიძლება განვითარდეს არავითარი დაზიანება" და იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონის "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" ძეგლთან მიმართებაში დასაშვებია მხოლოდ ძეგლის ან მისი ნაწილის დაშლა, მხოლოდ ძეგლზე ამ კანონით დაშვებული სამუშაოების (რეკონსტრუქცია) ფარგლებში მისი აღდგენის პირობით. სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობის გამაგრების ან საქართველოს კანონის "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" 26-ე მუხლით გათვალისწინებული, შესაბამისი ექსპერტიზა გავლილი (სამუშაოების განხორციელების მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის შესახებ) პროექტის წარმოდგენის შემდგომ. პროექტის შეთანხმებისას წარმოებაში ჩართული უნდა იყოს ყველა დაინტერესებული მხარე. (ძეგლის მესაკუთრეები)
გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ საკითხის შესწავლისას გამოვლინდა სხვა ხარვეზებიც, კერძოდ:

-წარმოდგენილი უნდა იქნას პარამეტრების გაზრდის შედეგად მომატებული კ2 კოეფიციენტის მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.
-წარმოდგენილი უნდა იქნას საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის საექსპერტო შეფასება.
-წარმოდგენილი უნდა იქნას შენობა-ნაგებობის ფუძე-საძირკვლებისა და ძირითადი კონსტრუქციების საექსპერტო შეფასების საბოლოო დასკვა.

სამსახური საკითხის განხილვას დაუბრუნდება ხარვეზების გამოსწორების შემდგომ. ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 30 დღე. აღნიშნულ ვადაში ხარვეზების გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.